

შპს ბეთერფული მედია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ბეთერფლაი მედია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

შპს ბეთერფული მედია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		12,595	4,107
საინვესტიციო ქონება		89,954	89,954
სულ გრძელვადიანი აქტივები		102,549	94,062
მიმდინარე აქტივები			
დარიცხული მოთხოვნები	3, 8	1,114,603	1,628,632
გადახდილი ავანსები	3, 8	89,139	2,842
გაცემული სესხები	4, 8	127,450	47,450
მისაღები პროცენტები	4, 8	20,445	6,248
საგადასახადო აქტივი		8,175	-
სხვა აქტივები		185	-
ფული და ფულის ექვივალენტები	5	138,775	361,563
სულ მიმდინარე აქტივები		1,498,771	2,046,735
სულ აქტივები		1,601,320	2,140,796
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		532,364	91,782
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		(158,260)	440,582
სულ კაპიტალი		374,104	532,364
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
დარიცხული დავალიანება	6, 8	1,171,182	1,514,003
გადასახდელი ხელფასები		34,788	11,237
მოკლევადიანი სესხები	7, 8	-	30,000
გადასახდელი პროცენტები	7, 8	-	579
საგადასახადო ვალდებულებები		21,246	52,614
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,227,216	1,608,432
სულ ვალდებულებები		1,227,216	1,608,432
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,601,320	2,140,796


შპს ბეთერფლაი მედია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს:



დავით ჯაში
დირექტორი




სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
გაყიდვები		5,887,330	7,857,243
თვითღირებულება		(5,196,903)	(6,717,702)
საერთო მოგება		690,426	1,139,541
ხელფასი		(764,293)	(563,833)
სატრანსპორტო ხარჯი		(9,832)	(3,302)
იჯარა		(75,000)	(75,000)
მივლინების ხარჯი		(6,619)	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(1,595)	(585)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(7,583)	(50,221)
საოპერაციო მოგება		(174,496)	446,600
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი		(1,629)	(6,051)
საპროცენტო შემოსავალი		19,121	16,844
საპროცენტო ხარჯი		(714)	(12,181)
ფინანსური მოგება		16,778	(1,388)
სხვა შემოსავალი		2	2,358
სხვა ხარჯები		(545)	(6,988)
მოგება გადასახადამდე		(158,260)	440,582
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება/ზარალი		(158,260)	440,582

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს:



დავით ჯაში



შპს ბეთერფლაი მედია
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

დირექტორი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2021	-	123,361	123,361
პერიოდის მოგება/ზარალი		440,582	440,582
დივიდენდები		-	-
წინა პერიოდის ცვლილება		(31,579)	(31,579)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	-	532,364	532,364
პერიოდის მოგება/ზარალი		(158,260)	(158,260)
დივიდენდები		-	-
წინა პერიოდის ცვლილება		-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	374,104	374,104

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 27
სექტემბერს:

დავით ჯაში
დირექტორი



შპს ბეთერფლაი მედია

ფინანსური ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები		7,440,639	9,359,740
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები		(6,561,382)	(8,352,047)
გადახდილი ხელფასები		(604,122)	(477,164)
გადახდილი გადასახადები		(354,885)	(230,858)
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან		(36,643)	(3,771.1)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(116,392)	295,900
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია			(5,537)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	(5,537)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხი		100,000	110,000
გადახდილი პროცენტები		(1,293)	(70,633)
სესხების დასაფარად გადახდილი თანხები		(130,000)	(259,127)
გაცემული სესხი		(80,000)	(12,000)
მიღებული პროცენტები		4,924	47,201
სესხების დასაფარად მიღებული თანხები			181,810
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(106,369)	(2,749)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება		(222,761)	287,614
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი		(27)	(6,051)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		361,563	80,000
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		138,775	361,563

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს:



დავით ჯაში
დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბეთერფული მედია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2017 წლის 14 ნოემბერს, როგორც შემოღებული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დავით ჯაში.

კომპანია ახორციელებს სარეკლამო საქმიანობას. სარეკლამო საქმიანობა, ძირითადად მოიცავს რეკლამის განთავსებას, საქართველოს ტელე-რადიო სივრცეში.

საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელია დავით ჯაში.

კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 80, ოფისი 15

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში, ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ

შპს ბეთერფული მედია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) კომპანია შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას, დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ქონება წარმოადგენს ბინას, სასტუმროს ტიპის კომპლექსში და მის დანიშნულებას წარმოადგენს, არასაოპერაციო საქმიანობის ფარგლებში, ტურისტულ სექტორზე ნომრის გაქირავება სეზონურად, მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა, დღემდე, ასეთი შემოსავლები კომპანიას არ ჰქონია.

ძირითადი საშუალება

ძირითადი საშუალება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული, დაგროვილი ცვეთის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება(ზარალის)“ სახით.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება

შპს ბეთერფული მელია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები სანყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებით. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები აღრიცხულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

შპს ბეთერფული მედია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ განეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც კომპანია იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოინერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოინერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები განეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან და დეპოზიტებისაგან. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება რეალური ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

შპს ბეთერფლაი მედია

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლედი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღეს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლედი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის, 33-ე განყოფილებით - „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“.

3. საგაჯრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
საგაჯრო მოთხოვნები	1,114,603	1,628,632
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდელი ავანსები	89,139	2,842
სულ საგაჯრო და სხვა მოთხოვნები	1,203,741	1,631,474

4. გაცემული სესხები

	31.12.2022	31.12.2021
საწყისი ნაშთი	53,698	253,865
პროცენტის გადახდა	(4,924)	(47,201)
დარიცხული პროცენტი	19,121	16,844
სესხის დაფარვა	-	(181,810)
სესხის გაცემა	80,000	12,000

შპს ბეთერფლავი მედია
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

საბოლოო ნაშთი	147,895	53,698
---------------	---------	--------

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	744
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	138,775	360,819
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	138,775	361,563

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,171,182	1,514,003
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,171,182	1,514,003

7. მიღებული სესხები

	31.12.2022	31.12.2021
საწყისი ნაშთი	30,579	238,158
პროცენტის გადახდა	(1,293)	(70,633)
დარიცხული პროცენტი	714	12,181
სესხის დაფარვა	(130,000)	(259,127)
სესხის მიღება	100,000	110,000
საბოლოო ნაშთი	0	30,579

8. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	438,186	131,023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	58,229	18,820

	31.12.2022	31.12.2021
გაცემული სესხები		
საწყისი ნაშთი	53,698	253,865
პროცენტის გადახდა	(4,924)	(47,201)
დარიცხული პროცენტი	19,121	16,844
სესხის დაფარვა	-	(181,810)
სესხის გაცემა	80,000	12,000

შპს ბეთერფლაი მედია


ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

საბოლოო ნაშთი	147,895	53,698
მიღებული სესხები	31.12.2022	31.12.2021
საწყისი ნაშთი	30,579	238,158
პროცენტის გადახდა	(1,293)	(70,633)
დარიცხული პროცენტი	714	12,181
სესხის დაფარვა	(130,000)	(259,127)
სესხის მიღება	100,000	110,000
საბოლოო ნაშთი	0	30,579

ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2023 წლის 27 სექტემბერს:



დავით ჯაში
დირექტორი

